საბჭოს აპარატი

საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა ხორციელდება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შექმნილი საბჭოს აპარატის მეშვეობით

ფუნქციები

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები

2019

საბჭოს აპარატი

ელექტრონული განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვა

- საბჭოს აპარატი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას დადგენილება N131 -ის მე-6 მუხლის მე- 2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან;
- შეუსაბამობის შემთხვევაში, საბჭოს აპარატი განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არა უმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას;
- პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განაცხადის წარდგენიდან 60 კალენდარული დღის ვადაში. ვადის დინება შეჩერებულად მიიჩნევა საბჭოს აპარატის მიერ იურიდიული პირისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

საბჭოს აპარატი

პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება

- საბჭოს აპარატი ცენტრის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და ექსპერტის/ექსპერტების ჩართულობით უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებას;
- საბჭოს აპარატის წარდგინების საფუძველზე, ცენტრი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ექსპერტის იურიდიულ პირთან ვიზიტის განხორციელების ან ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ვიზიტის განხორციელების შესახებ, რომელიც ეგზავნება იურიდიულ პირს.

საბჭოს აპარატი

დასკვნის მომზადება და საბჭოსთვის წარდგენა

- იურიდიული პირის მიერ წარდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ,საჭიროების შემთხვევაში კი განხორციელებული ვიზიტის შედეგების გათვალისწინებით, საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადებას, რომელიც ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხელმისაწვდომია, როგორც იურიდიული პირისთვის, ასევე საბჭოსთვის;
- საბჭოს აპარატის მიერ წარდგენილი დასკვნისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე,საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით;
- საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების ასახვას ელექტრონულ სისტემაში.